



## წინადადებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებთან და პროცედურასთან დაკავშირებით

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის რეგულირების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დაკომპლექტების ობიექტურ პროცესს, თუ მოსამართლის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადადგება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა მოსამართლე წევრი, ასევე საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ყველა ის წევრი, რომლებმაც 2018 წლის დეკემბერში მხარი დაუჭირა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სიის წარდგენას საქართველოს პარლამენტში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენა და არჩევა უნდა მოხდეს მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის განახლებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ.

კოალიცია მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესში დაცული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა<sup>1</sup>;
- არჩევის პროცესის გამჭვირვალობა და ღიაობა<sup>2</sup>;
- პროცესის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვა.

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით სათანადოდ იყოს გარანტირებული იმ პირთა მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, რომელთაც სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება არ აქვთ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გაეროს ძირითადი პრინციპები მოსამართლის დამოუკიდებლობის შესახებ, პუნქტი 13; ევროსაბჭოს რეკომენდაცია R(94)12, პირველი პრინციპი; CCJE დასკვნა N1(2001), პუნქტი 17.

<sup>2</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) თანახმად, უნდა არსებობდეს კანდიდატთა შერჩევის პირობათა სრული გამჭვირვალობა ისე, რომ მოსამართლეებს და თავად საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა დარწმუნდნენ იმაში, რომ დანიშვნა ექსკლუზიურად გამომდინარეობდა კანდიდატის დამსახურებიდან და დაეფუძნა მის კვალიფიკაციას, უნარებს, პატიოსნებას, დამოუკიდებლობის განცდას, მიუკერძოებლობასა და ეფექტურობას, დასკვნა N10 (2007), § 50.

გარდა ამისა, ENCJ-ს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, დანიშვნის პროცესი უნდა იყოს ღია საზოგადოებრივი მსჯელობისათვის და სრულად და სათანადოდ დოკუმენტირებული. ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ 27-28.

<sup>3</sup> ვენეციის კომისიის თანახმად, მხოლოდ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებით უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს სისტემის იზოლაცია მაშინ, როდესაც განსხვავებული გამოცდილების მქონე პროფესიონალებს შეუძლიათ უზრუნველყონ სისტემის ღიაობა ახალი მოსაზრებებისა და იდეებისადმი. Venice Commission, CDL-AD(2018)003, § 31.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცესის მთავარი ელემენტები უნდა იყოს:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ღია კონკურსის გამოცხადება;
- საბჭოს მიერ კანდიდატების შესაბამისობის შემოწმება უზენაესი სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლის თანამდებობასთან, დამსახურების პრინციპისა და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე;
- საბჭოს მიერ კანდიდატების ნომინირება მოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ითა და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ით;
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ კანდიდატის შეფასება;
- კანდიდატის საჯარო მოსმენა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

## 1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლისადმი წაყენებული მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები

### *საკვალიფიკაციო მოთხოვნები*

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ უნდა დადგინდეს უფრო მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეებისათვის<sup>4</sup>, კერძოდ: პროფესიით მუშაობის სულ მცირე 10 წლიანი გამოცდილება (აქვე უნდა დადგინდეს თუ რა ითვლება პროფესიით მუშაობაში. მაგალითად, ადვოკატად, პროკურორად, მოსამართლედ მუშაობა, სამეცნიერო/აკადემიური/კვლევითი საქმიანობა შესაბამის დარგში, სასამართლოებში დავების წარმოების გამოცდილება, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება).<sup>5</sup>

---

ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის ის სისტემები, რომლებიც კარიერულ ანუ მოსამართლეთა დაწინაურების პრინციპზეა აგებული. მაგალითად, გერმანიაში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დანიშვნა ხორციელდება დაწინაურების გზით, თუმცა უზენაეს სასამართლოში დანიშვნისთვის კანდიდატებს არ მოეთხოვებათ სამოსამართლო გამოცდილება. ასეთ ქვეყნებშიც კი, კარიერული სისტემის პარალელურად არსებობს მაღალ ინსტანციებში მოსამართლეთა გარეშე პირებისაგან შერჩევის წესი, ხოლო მოქმედი მოსამართლეების დაწინაურება ხდება, მათ შორის, მოსამართლის განგრძობადი შეფასების კომპლექსური პროცესის შედეგების გათვალისწინებით. საქართველოში არ არსებობს მოსამართლეთა დაწინაურების მკაფიო მოწესრიგება, კანონმდებლობით არ არის დადგენილი მოსამართლის განგრძობადი შეფასების მექანიზმი და მოქმედი მოსამართლეების სათანადო შეფასება მათი კარიერის განმავლობაში არ ხდება.

<sup>4</sup> მსგავსი პრაქტიკა არსებობს აშშ-ში, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი უნდა გამოირჩეოდეს მაგალითად სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისაგან მისი კომპეტენციითა და სამუშაო გამოცდილებით. აღნიშნული განპირობებულია უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებული როლითა და მნიშვნელობით.

<sup>5</sup> მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში კანონით არის დადგენილი ჩამონათვალი იმ საქმიანობისა, რომელიც მიიჩნევა რელევანტურ სამუშაო გამოცდილებად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

## კრიტერიუმები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეებისთვის დადგენილი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები უნდა დაიხვეწოს იმგვარად, რომ ის გახდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისი. ამისათვის საჭიროა, რომ დადგენილი კრიტერიუმების მახასიათებლები გახდეს უფრო კონკრეტული, ამასთან, კანონით უნდა დაკონკრეტდეს ამ მახასიათებლების შემოწმების წყაროები და მტკიცებულებები<sup>6</sup>.

პირველ დანართში მოცემულია კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატების შეფასების მახასიათებლები და შეფასების წყაროები, არსებული წესი და შემოთავაზებული ცვლილებები<sup>7</sup>.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნას მეორე დანართში აღწერილი შინაარსის თვითშეფასების კითხვარი, რომელიც უნდა მოიცავდეს კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დეტალური ინფორმაციის ჩამონათვალს და რიგი პერსონალური მონაცემების გაცხადების ვალდებულებას<sup>8</sup>.

## 2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის გამოცხადება და განაცხადების წარდგენა

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა გამოაცხადოს ღია კონკურსი და დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული ვადა შეიტანონ განაცხადი<sup>9</sup>. მოსამართლეობის მსურველმა პირებმა უნდა წარადგინონ დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება მათი შესაბამისობა ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ კომპეტენციასა და კვალიფიკაციას. სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტებისა და თვითშეფასების კითხვარში შესატანი მონაცემების

---

საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ანალოგიური ჩამონათვალი ძალიან ფართოა და სამუშაო გამოცდილებაში მოსამართლეობის კანდიდატს ეთვლება ისეთი გამოცდილებაც, რომელიც არ არის დაკავშირებული სასამართლოში დავის წარმოებასთან ან არ არის რელევანტური და გამოსადეგი უზენაესი სასამართლოს მომავალი მოსამართლის მაღალი კვალიფიკაციის დასადასტურებლად.

<sup>6</sup> გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე წარსადგენი პირი გათავისუფლებულია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან, რაც არ იძლევა მისი კომპეტენტურობის შესახებ ინფორმაციას და აუცილებელია აღნიშნული სხვა წყაროებით დადგინდეს.

<sup>7</sup> დანართში მოცემული ცხრილი მომზადებულია გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში მოქმედი კრიტერიუმებისა და მათი მახასიათებლების მიხედვით.

<sup>8</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით არასრულყოფილად არის დადგენილი იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის შესწავლის საფუძველზეც უნდა მოხდეს კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება.

<sup>9</sup> ევროპის რიგ ქვეყნებში საჯაროდ ცხადდება ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის შესახებ და კანდიდატებს შეუძლიათ განაცხადების შეტანა (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, ბელგია, დანია).

ჩამონათვალი უნდა განისაზღვროს ორგანული კანონით (იხ. დანართი 2). თუ კანდიდატის მიერ წარდგენილი მონაცემები არასრულია, მას უნდა მიეცეს გონივრული ვადა (არანაკლებ 7 დღისა) მონაცემების შესავსებად.

### **3. კონკურსის ეტაპები**

პირველ ეტაპზე, უნდა მოხდეს ორგანული კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები უნდა გამოქვეყნდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს გონივრული ვადა (არანაკლებ 2 კვირისა) საბჭოს წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია/მოსაზრებები კანდიდატთან დაკავშირებით. საბჭომ უნდა უზრუნველყოს წარდგენილი ინფორმაციის/მოსაზრებების მიწოდება მოსამართლეობის კანდიდატისათვის.

მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან საბჭომ უნდა ჩაატაროს გასაუბრება<sup>10</sup> ღია სხდომაზე, საბჭოს მიერ წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული ერთგვაროვანი კითხვებით.

### **4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება**

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანდიდატების ნომინირების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ითა და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ით ღია კენჭისყრით.

გადაწყვეტილება კანდიდატის ნომინირების თაობაზე უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული<sup>11</sup> და უნდა აღინიშნოს ის მიზეზები, რაც საფუძვლად დაედო კონკრეტული კანდიდატის შერჩევას. საბჭოს ნებისმიერ წევრს უნდა შეეძლოს განსხვავებული აზრის დაწერა კონკრეტულ კანდიდატთან დაკავშირებით, რაც თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილება კანდიდატის ნომინირებაზე უარის თქმის შესახებ ასევე უნდა იყოს დასაბუთებული<sup>12</sup>.

საბჭომ პარლამენტს უნდა წარუდგინოს სულ მცირე 3 კანდიდატი თითოეულ ვაკანსიაზე.

---

<sup>10</sup> შერჩევის პროცესში გასაუბრების ჩატარებას ითვალისწინებს ცალკეული ევროპული ქვეყნები (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, ავსტრია).

<sup>11</sup> ცალკეული ევროპული ქვეყნები ითვალისწინებს გადაწყვეტილების დასაბუთებას (მაგალითად, გერმანია, დანია).

<sup>12</sup> ENCJ ყურადღებას ამახვილებს წარუმატებელი კანდიდატის ინფორმირებაზე მისი წარუმატებლობის მიზეზების თაობაზე. ხელმისაწვდომია:

[https://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj\\_report\\_distillation\\_approved.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj_report_distillation_approved.pdf)

## 5. კონკურსის ობიექტურად ჩატარების გარანტიები

იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი წარადგენს განაცხადს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მას უნდა შეუჩერდეს საბჭოს წევრის უფლებამოსილება. ორგანული კანონით უნდა გაიწეროს საბჭოს წევრებთან ნებისმიერი ფორმით კომუნიკაციის აკრძალვა კონკრეტულ კანდიდატთან დაკავშირებით, როგორც მის მხარდასაჭერად, ასევე მის საწინააღმდეგოდ. ასევე, უნდა გამოირიცხოს საბჭოს წევრის მონაწილეობა კანდიდატის შეფასების პროცესში, თუკი არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების და კომუნიკაციის აკრძალვის წესები ასევე უნდა დადგინდეს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებთან მიმართებით (პუნქტი 8).

## 6. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

ორგანული კანონით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონკურსის შედეგების გასაჩივრება<sup>13</sup> უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში შემდეგი საფუძვლებით:

- კონკურსი ჩატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით;
- გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული კანდიდატის ნომინირებაზე უარის თქმის მიზეზები;
- კანდიდატი აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს და უსაფუძვლოდ ვერ გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე.

გასაჩივრების შედეგების გამოცხადებამდე/გასაჩივრების ვადის გასვლამდე საბჭოს მხრიდან კანდიდატის პარლამენტში ნომინირების პროცესი უნდა შეჩერდეს.

## 7. კანდიდატების სიისა და დოკუმენტების წარდგენა პარლამენტში

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩეული კანდიდატების სიას და კანდიდატებთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს უგზავნის პარლამენტს. პარლამენტი მიღებულ დოკუმენტებს სრულად აქვეყნებს თავის ვებგვერდზე მიღებისთანავე.

## 8. იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება

---

<sup>13</sup> ENCJ-ს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა მოიცავდეს გასაჩივრების დამოუკიდებელ პროცედურას. ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ 27-28.

გარდა ამისა, CCJE-ს თანახმად, საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მათ შორის მოსამართლის დანიშვნასთან და დაწინაურებასთან დაკავშირებით უნდა იყოს დასაბუთებული და ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას.

CCJE დასკვნა 10 (2007), § 39; 92.

გასაჩივრების მექანიზმი არსებობს ევროპის ცალკეულ ქვეყნებში (მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია).

კომიტეტის სამუშაო ჯგუფი უნდა შედგებოდეს მაღალი რეპუტაციის მქონე 7 წევრისგან, რომელთაგან 2 წევრს ასახელებს უმრავლესობა, 2 წევრს უმცირესობა, ერთი არის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი, ერთი სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი, ხოლო 1 ექსპერტს ასევე ასახელებს სახალხო დამცველი. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ჯგუფის წევრთაგან უნდა აირჩიოს თავად სამუშაო ჯგუფმა.

## **9. იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის ვალდებულებები**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფი ვალდებული უნდა იყოს:

- შეამოწმოს მოსამართლეობის კანდიდატების/იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე;
- საჭიროების შემთხვევაში მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია კანდიდატის კვალიფიკაციის, მისი პროფესიული გამოცდილებისა და რეპუტაციის თაობაზე ყველა შესაძლო სანდო წყაროდან;
- საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ინტერვიუ კანდიდატის რეკომენდატორთან ან/და მოიძიოს დამატებითი რეკომენდაციები;
- განიხილოს და გადაამოწმოს დაინტერესებული პირების მიერ კანდიდატთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია;
- საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გამოითხოვოს კანდიდატის შესახებ ყველა ინფორმაცია, გამოკითხოს მოწმეები, გამოიკვლიოს დოკუმენტები; მოამზადოს დასკვნა თითოეულ ნომინირებულ კანდიდატთან დაკავშირებით და წარუდგინოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

კანდიდატს უფლება აქვს გაეცნოს სამუშაო ჯგუფის მიერ მასზე მოძიებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას და წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

დასკვნა მიიღება სამუშაო ჯგუფის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით. სამუშაო ჯგუფის წევრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის დასკვნას უფლება უნდა ჰქონდეს მოამზადოს თავისი დასაბუთებული განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვება სამუშაო ჯგუფის დასკვნას.

სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია სრულად გადაეცემა იურიდიულ კომიტეტს და ხელმისაწვდომია კომიტეტის ყველა წევრისათვის.

## **10. კომიტეტის სამუშაო ჯგუფის დასკვნის შინაარსი და საჯაროობა**

კომიტეტის სამუშაო ჯგუფის დასკვნა უნდა შეიცავდეს:

- აღწერილობით ნაწილს, სადაც აისახება კანდიდატის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ნომინირებასთან ერთად პარლამენტისთვის მიწოდებული ინფორმაცია, სამუშაო ჯგუფის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, დაინტერესებული პირების მიერ კანდიდატის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია და აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად სამუშაო ჯგუფის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები;

- კანდიდატის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთება წყაროებსა და მტკიცებულებებზე მითითებით.

კომიტეტის სამუშაო ჯგუფის დასკვნა, მისი მიღებისთანავე უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებ-გვერდზე.

### **11. კანდიდატებთან გასაუბრება კომიტეტის სხდომაზე**

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე. მედიას უნდა მიეცეს საშუალება გადაიღოს გასაუბრების პროცესი.

განსახილველ კანდიდატურასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის, ადვოკატთა ასოციაციის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვის შემთხვევაში, კომიტეტი ვალდებულია მოუსმინოს მათ კომიტეტის სხდომაზე.

გასაუბრება უნდა წარიმართოს წინასწარ დადგენილი ფორმალური პროცედურის შესაბამისად. გასაუბრებისთვის უნდა განისაზღვროს მინიმალური დრო. კომიტეტს უნდა ჰქონდეს უფლება, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს დამატებითი გასაუბრება, თუ ინფორმაციის დაზუსტების, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროება ან სხვა გარემოება ამას მოითხოვს.

### **12. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა**

კომიტეტის სამუშაო ჯგუფის დასკვნაში მოცემული ინფორმაციისა და კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე, კომიტეტმა პარლამენტისთვის წარსადგენად უნდა მოამზადოს დასაბუთებული დასკვნა. კენჭისყრის შედეგად კომიტეტი მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ დასკვნას:

- კანდიდატი შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს;
- კანდიდატი არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.

ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიუხედავად კომიტეტის დასკვნის შინაარსისა.

### **13. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა**

იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს უზენაესი სასამართლოს სულ ცოტა სამი მოსამართლის მიერ მხარდაჭერილ ან საბჭოს წევრის მიერ დასახელებულ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის ნომინირების საკითხს და გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს მოსამართლე წევრთა 2/3-ის და არამოსამართლე წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით.

დანართი 1

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ამჟამად მხოლოდ პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეებზე ვრცელდება, უნდა დაიხვეწოს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი „ობიექტური კრიტერიუმების“ შესაბამისად და გავრცელდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებზე

მოქმედი კრიტერიუმი	მოქმედი მახასიათებელი	მოქმედი მტკიცებულებების ჩამონათვალი	კრიტერიუმის შეთავაზებული რედაქცია	მახასიათებლის შემოთავაზებული რედაქცია	შეთავაზებული მტკიცებულებების ჩამონათვალი
კომპეტენტურობა	სამართლის ნორმების ცოდნა: მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა; ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ	აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება	<b>კომპეტენტურობა</b>	აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, მის საფუძვლად არსებული პრინციპების (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) სათანადო და განახლებული ცოდნა;  ახდენს ახლის შესწავლის უნარისა და შესაძლებლობის დემონსტრირებას	აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა მოსამართლეობის კანდიდატის მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებული და საბჭოს მიერ მოძიებული ნაშრომების, მის მიერ შედგენილი დოკუმენტების, მიღებული გადაწყვეტილებების (მოქმედი ან ყოფილი მოსამართლის შემთხვევაში), ბიოგრაფიაში მითითებული პროფესიული წვრთნის შესახებ ინფორმაციას შეფასება უნდა პასუხობდეს შესაბამის მახასიათებელში მითითებულ საკითხებს.



	ცოდნის დონე				
კომპეტენტურიობა	სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	ამ მახასიათებლით შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება	კომპეტენტურიობა	გადაწყვეტილების მიღების უნარი: გადაწყვეტილების მიღებისას ახდენს კეთილსინდისიერების დემონსტრირებას, არის სამართლიანი და სამართლებრივად დასაბუთებული, იღებს დროულ და შესაბამის გადაწყვეტილებებს. კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს სათანადო განსჯის უნარი და საღი აზრი (common sense)</li> <li>• იღებს გასაგებ, დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ობიექტურად, შესაბამის კანონსა და ფაქტებზე დაყრდნობით</li> <li>• ახდენს კეთილსინდისიერების და აზრის დამოუკიდებლობის</li> </ul>	აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა მოსამართლეობის კანდიდატის მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებული და საბჭოს მიერ მოძიებული ნაშრომების, მის მიერ შედგენილი დოკუმენტების, მიღებული გადაწყვეტილებების (მოქმედი ან ყოფილი მოსამართლის შემთხვევაში) შეფასებას. შეფასება უნდა პასუხობდეს შესაბამის მახასიათებელში მითითებულ საკითხებს.

				<p>დემონსტრირებას</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ არის მიკერძოებული და არ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი</li> </ul>	
კომპეტენტურობა	წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, დიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.	კომპეტენტურობა	<p>ეფექტური კომუნიკაცია: ახდენს კარგი ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარის დემონსტრირებას, რაც გულისხმობს იმას, რომ კანდიდატს: შეუძლია სიტუაციის მართავა და იწვევს პატივისცემასა და ნდობას; ინარჩუნებს სიმშვიდეს და ავტორიტეტს რთულ სიტუაციაშიც კი; შესაბამის სამართლებრივ და პროცედურულ ინფორმაციას განმარტავს მკაფიოდ, ზუსტად და</p>	<p>აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა მოსამართლეობის კანდიდატის მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებული და საბჭოს მიერ მოძიებული ნაშრომების, მის მიერ შედგენილი დოკუმენტების, მიღებული გადაწყვეტილებების (მოქმედი ან ყოფილი მოსამართლის შემთხვევაში), კანდიდატის მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესის ჩანაწერების და სხვა შესაძლო წყაროებზე დაყრდნობით გაკეთებულ შეფასებას. შეფასება უნდა პასუხობდეს შესაბამის მახასიათებელში მითითებულ საკითხებს.</p>

				<p>ყველასთვის ადვილად გასაგებ ენაზე; სვამს ნათელ, ლაკონურ, რელევანტურ და გასაგებ კითხვებს; მზად არის მოისმინოს მოთმინებით და თავაზიანად.</p> <p>აქვს უნარი სწრაფად აღიქვას, დაიმახსოვროს და გააანალიზოს ინფორმაცია, ფაქტები და სამართლებრივი არგუმენტები; აიდენტიფიცირებს და კონცენტრირდება რეალურ საკითხებზე; არ კონცენტრირდება არარელევანტურ დეტალებზე.</p> <p>სწორად მიუსადაგებს სამართლებრივ წესებს და პრინციპებს შესაბამის ფაქტებს.</p> <p>შეუძლია შეაფასოს მტკიცებულებები იმისათვის რომ</p>
--	--	--	--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

				<p>გადაწყვეტილ საქმის ფაქტობრივი გარემოებები.</p> <p>ინფორმაციის აღქმა და დაზუსტება: სწრაფად აღიქვამს ინფორმაციას და აიდენტიფიცირებს მნიშვნელოვან საკითხებს.</p> <p>გასაგებად აყალიბებს საკითხს და შეუძლია ნათელი მოჰფინოს გაურკვეველ საკითხებს ინფორმაციის დამუშავების გზით.</p>	
კომპეტენტ ურობა	პროფესიული თვისებები	პროფესიული თვისებების მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-	კომპეტენტურობა	<p>სამუშაოსთან ეფექტურად გამკლავების უნარი: მუშაობს ეფექტურად და გეგმავს სამუშაოს ხელმისაწვდომი რესურსების საუკეთესო გამოყენებით, რაც გულისხმობს იმას, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს წარმართავს ეფექტურად, რათა უზრუნველყოფილ იქნას</li> </ul>	<p>აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა კანდიდატის მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესის ჩანაწერებსა და სხვა შესაძლო წყაროებს, კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს. შეფასება უნდა პასუხობდეს შესაბამის მახასიათებელში მითითებულ საკითხებს.</p>

		ჩვევები და სხვა.		<p>სამართლიანი და პროდუქტიული შედეგი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პრიორიტეტებს განსაზღვრავს ეფექტურად და მინიმუმამდე დაყავს გაჭიანურების და შეუსაბამობების რისკი</li> <li>• ახდენს სწრაფად და სტრესულ ვითარებაში მუშაობის უნარის დემონსტრირებას</li> <li>• საქმის განაწილებას ეფექტურად უმკლავდება</li> <li>• გასწევს აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოს</li> </ul>	
კომპეტენტ ურობა	აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა,	აღნიშნული მახასიათებლები და მათი შეფასების წყაროები შესწორებული სახით გათვალისწინებუ		

		<p>თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.</p>	<p>ლია ცხრილის პირველ პუნქტში</p>		
<p>კომპეტენტურობა</p>	<p>პროფესიული აქტივობა</p>	<p>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეების და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.</p>	<p>კომპეტენტურობა</p>	<p>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეების და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.</p>	<p>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა მისი ბიოგრაფიული მონაცემების, საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებულ შეფასებას. შეფასება უნდა პასუხობდეს მახასიათებელში მითითებულ საკითხებს და უნდა მიუთითებდეს, თუ რით არის გამორჩეული კანდიდატის პროფესიული აქტივობა.</p>



**მოსამართლეობის მსურველი პირის მიერ კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია:**

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუკი დოქტორანტია, ცნობა შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან);
- სამოტივაციო წერილი;
- სრული დეტალური ბიოგრაფია, რომელიც მოიცავს სრულ პროფესიულ კარიერას, მათ შორის აკადემიურ საქმიანობას (სამუშაო გამოცდილებაში ზუსტი თარიღებისა და უშუალო ხელმძღვანელ(ებ)ის მითითებით);
- ინფორმაცია სამხედრო სამსახურის შესახებ;
- ჯილდოები და ორდენები და რის გამო აქვს გადაცემული (რატომ მოხდა ნომინირება);
- მინიჭებული წოდებები (პროფესიული) და რასთან დაკავშირებით მიიღო;
- პროფესიული ასოციაციების ან გაერთიანებების წევრობა;
- გამოქვეყნებული ნაშრომები, პუბლიკაციები;
- საჯარო განცხადებები, რომელსაც კანდიდატი მიიჩნევს წარმოსადგენად საჭიროდ;
- თვითაცხადების შესახებ გადაწყვეტილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პოლიტიკური აქტივობები და აფილირება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან (მათ შორის ხომ არ ყოფილა თვითონ, ან მისი ოჯახის წევრი რომელიმე პოლიტიკური პარტიის შემომწირველი);
- ინფორმაცია იმ საქმეებზე, რომელშიც კანდიდატი ყოფილა მხარე (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში);
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან გაეროს კომიტეტს თუ აქვს მიღებული გადაწყვეტილება რომელიმე საქმესთან დაკავშირებით, სადაც კანდიდატი მოსამართლე ან პროკურორი იყო;
- კანდიდატის მიერ გაკეთებული საკონსტიტუციო წარდგინებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- როგორც ადვოკატს თუ აქვს ნაწარმოები საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ან/და საერთაშორისო არბიტრაჟებში;
- მისაღები შემოსავლები (როდესაც შესრულებული აქვს სამუშაო და მომავალში უნდა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება);
- გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- სასამართლოში მუშაობის პერიოდში დამატებითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- შემოსავლის წყაროები ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- კანდიდატის წინააღმდეგ წარდგენილი დისციპლინური საჩივრების შესახებ ინფორმაცია;
- ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია



- ინფორმაცია საბჭოს წევრებთან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ (მეგობრული, ნათელმრონული ურთიერთობები, ასევე ყოფილი სამსახურებრივი კავშირები);
- ინფორმაცია Pro Bono საქმიანობის შესახებ (ადვოკატების შემთხვევაში);
- კანონთან კონფლიქტის შემთხვევები (ადმინისტრაციული ჯარიმები; ოჯახში ძალადობის შემთხვევები; ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ, რომელშიც კანდიდატი მონაწილეობს როგორც დაზარალებული, მოწმე ა.შ.);
- ხომ არ იყო ან არის დაწყებული გამოძიება სადაც მომჩივანი (საჩივრის ავტორი) დანაშაულის ჩადენაში ამხელს კანდიდატს;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში კანდიდატის მიერ მიღებული 5 სანიმუშო გადაწყვეტილება (განსხვავებული აზრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) - მხოლოდ ყოფილი მოსამართლეების შემთხვევაში;
- სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები და გათავისუფლების მიზეზები;
- სოციალური ქსელის ანგარიში, რომელსაც იყენებს;
- 3 რეკომენდატორი, მათი საკონტაქტო მონაცემების მითითებით.

კანდიდატმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობა და მონაცემების სიზუსტე. განზრახ მონაცემის დამალვა ან არასწორი მონაცემის მიწოდება იწვევს კანდიდატის დისკვალიფიკაციას.